



**საქართველო**  
**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის**  
**გამგეობა**



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 97  
15/01/2016

97-09-2-201601151141



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის „დ.ა“ და „დ.გ“ ქვეპუნქტების, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გაცემის განხორციელებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

**1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი**

მოგახსენებთ რომ, ზემო აღნიშნული განკარგულების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, გიორგი ფაცურიას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული მხვდელმსახურის გიორგი ცქიტიშვილის განცხადების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - მწვანე ნარგავი (ხუთი ერთეული 5,5 მ<sup>3</sup> კედრის ჯიშის სამასალე ხის მორი) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცეს მაჩხვარეთის ფერიცვალების სახელობის მშენებარე ტაძარს.

გთხოვთ განიხილოთ.

**2. პროექტის ფინანსური დასაბუთება**

პროექტების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.


**3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი**

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტების განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, გიორგი ფაცურიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**4. პროექტის წარმდგენი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

ზაზა ურუშაძე



ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2016 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გაცემის განხორციელებაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „დ.ა“ და „დ.გ“ ქვეპუნქტების, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - შწვანე ნარგავის (ხუთი ერთეული 5,5 მ<sup>3</sup> კედრის ჯიშის სამასალე ხის მორი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის**

**პირველ მოადგილეს**

**ბატონ ნუგზარ ცინცაძეს**

**ბატონო ნუგზარ,**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია 5,5მ<sup>3</sup> სამასალე ხის მორი, (5 ერთეული).

მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა სოფელ მაჩხვარეთის ფერიცვალების სახელობის ტაძრის მღვდელთმსახურმა გიორგი ცქიტიშვილმა ხის მორების გადაცემის თაობაზე (ასლი თან ახლავს)

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთაღნიშნული სამასალე ხის მორების (5.5მ<sup>3</sup>) მაჩხვარეთის ფერიცვალების სახელობის მშენებარე ტაძრისთვის გადაცემა.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, ხის მორის პირდაპირი განკარგვის წესით, საკრებულოს თანხმობის მისაღებად, საკრებულოს განკარგულების პროექტის მომზადება.

დანართი 3 ფურცელი

**პატივისცემით,**

გიორგი ფაცურია

*გ. დავუაშვი*

სამსახურის უფროსი

ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლებისა და საავტომობილო გზისპირას მიმდებარედ არსებული დაზიანების ან მომატებული საფრთხის შემცველი მწვანე ნარგავების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის

ა ქ ტ ი

08.01.2016 წ.

2016 წლის 08 იანვარს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლებისა და საავტომობილო გზისპირას მიმდებარედ არსებული დაზიანების ან მომატებული საფრთხის შემცველი მწვანე ნარგავების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ქ. ლანჩხუთში ჟორდანას ქ N37 მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სახლის მიმდებარედ არსებულ სკვერში დიდთოვლობისა და ქარისაგან წაქცეული ერთი ძირი კედრის ჯიშის ხის მდგომარეობა. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა შემდეგი:

ხე არის მოთხრილი, დამუშავების შედეგად მიღებულია 5 ცალი მორი. საერთო მოცულობით 5.5 მ<sup>3</sup>. სამუშაო ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მორების სამასალედ გამოყენება.

1. ხვიჩა ნიკოლაიშვილი -  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ზედამხედველობის მთავარი სპეციალისტი.

ჯგუფის უფროსი,

2. გულვერი ჯორბენაძე-  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების  
მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების წამყვანი სპეციალისტი.

ჯგუფის წევრი,

3. ალექსანდრე კირვალიძე-  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის  
სამსახურის საპროექტო განყოფილების  
მთავარი სპეციალისტი.

ჯგუფის წევრი,

4. ბეგი ცინცაძე-  
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს  
მეთყვევე.

ჯგუფის წევრი,



Հանձնարարական Գործառնական  
Քաղաք : ԵՏ Երևան  
Կոչ Զեկչեան Գրական  
Կենտրոնի Գրական Գրաստան  
Օրոշի Երևանի Գրական Գրաստան  
ԳԵՄ 1024039760

Հանձնարարական

Քաղաք : ԵՏ,

Գրական Կոչ Զեկչեան  
Գրական Կենտրոնի Գրական  
Կենտրոնի Գրական Գրաստան  
Կոչ Զեկչեան Գրական Գրաստան  
Կոչ Զեկչեան Գրական Գրաստան  
Կոչ Զեկչեան Գրական Գրաստան

Օրոշի Երևանի Գրական Գրաստան

12.01.2016 թ.

12 01 16  
96  
1





05.01.2016 11:08